საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

07/11/2025

MES 9 25 0001567431

გადაწყვეტილება

შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის "საზღვაო ნავიგაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „სრულად ან/და მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან ან „არ არის შესაბამისობაში

სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 2 ივლისის №798384 ბრძანების საფუძველზე, განხორციელდა დაწესებულების “საზღვაო ნავიგაციის" საბაკალავრო და "საზღვაო ნავიგაციის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანა თლებლო პროგრამების კლასტერის შეფასება.

2.2 საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.3 სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება და ცვლილება შეიტანა 1.2 კომპონენტში გაცემულ რეკომენდაციაში, რასაც გავლენა არ მოუხდენია შეფასებაზე.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2-ემუხლის პირველი პუნქტის, 27^5-ემუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ “საზღვაო ნავიგაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით - 2032 წლის 7 ნოემბრამდე.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა “საზღვაო ნავიგაციის" საბაკალავრო და "საზღვაო ნავიგაციის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2025 წლის 7 ნოემბრის სხდომის №1567430 ოქმის № 01 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, დაკონკრეტდეს პროგრამის სწავლის შედეგები ცოდნის, უნარებისა და პასუხისმგებლობა - ავტონომიურობის კომპეტენციების მიხედვით. ასევე, რეკომენდებულია სწავლის შედეგები ფორმულირდეს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს მისი გაზომვა და შეფასება.
2. რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგებში აისახოს სტაბილურობის, ტვირთის მართვისა და გემის ტექნიკურ მომსახურებასთან დაკავშირებული საკითხები.
3. რეკომენდებულია, პროგრამების სწავლის შედეგების რუკა გადამუშავდეს ისე, რომ თითოეულ სწავლის შედეგში აისახოს განვითარების სამივე დონე: გაცნობა, გაღრმავება და განმტკიცება.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 7 ნოემბრიდან.
6. საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს ერთი წელი - 2026 წლის 7 ნოემბერი.
7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) კანონმდებლობის შესაბამისად დაწესებულებისთვის გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა
მზამავლსმეღიტ
ელექტრონულად